

№ 01-08-15/333-2018-2
04.04.2018

ხელშეკრულება № 57-18

ქ. თბილისი

02 აპრილი 2018 წ.

ერთი მხრივ, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მისი რექტორის არჩილ ფრანგიშვილის სახით (შემდგომში „დამკვეთი“) და შპს „მარაბდა - კარწახის რკინიგზა“, მისი დირექტორის ლევან კანკავას სახით (შემდგომში „შემსრულებელი“), ვდებთ აღნიშნულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. დამკვეთი ავალებს, ხოლო შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას შემდეგი მომსახურების გაწევასზე:

ა) საწარმოო (წლიური მოცულობით 100 სთ) და წინასაკვალიფიკაციო (წლიური მოცულობით 100 სთ) პრაქტიკის გასატარებლად მიიღოს დამკვეთის მიერ პრაქტიკაზე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით „მშენებლობა“ (რკინიგზის მშენებლობა, ლიანდაგი და სალიანდაგო მეურნეობა, ხიდები და სატრანსპორტო გვირაბები) გაგზავნილი - მაქსიმუმ 15 სტუდენტი.

ბ) შემსრულებელი პრაქტიკანტებს დაუნიშნავს მენტორს და უზრუნველყოფს პრაქტიკის მაღალ დონეზე გატარებას დამკვეთის მიერ მიწოდებული პრაქტიკის სილაბუსისა და დღიურის შესაბამისად;

გ) პრაქტიკის დასრულების შემდეგ თითოეულ სტუდენტზე გასცემს ბეჭდით დამოწმებულ დასკვნა-დახასიათებას.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. შემსრულებელი:

2.1.1. უწევს ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებულ მომსახურებას შემსრულებლის ადგილსამყოფელის მიხედვით: ქ. თბილისი, დაღმაშენებლის 150;

2.1.2. შესრულებული ვალდებულება უზრუნველყოს შემკვეთთან შეთანხმებული პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებული სამუშაოს მაღალ დონეზე შესრულება;

2.2. დამკვეთი:

2.2.1. შესრულებულს მიაწოდოს პრაქტიკაზე გასაგზავნი სტუდენტების სია და პრაქტიკის სილაბუსი.

3. მომსახურების ანაზღაურების წესი

3.1. ამ ხელშეკრულებით გაწეული მომსახურება პრაქტიკა წარიმართება ანაზღაურების გარეშე წლიური მოცულობით 200 სთ, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. შესრულებული იდებს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო შესრულოს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში.

4.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. სხვა პირობები

- 5.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხარეთა შეთანხმებით.
- 5.2. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 5.3. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა მოცემულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მისგან გამომდინარეობს, მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში - მიმართავენ სასამართლოს.
- 5.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან. ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

6. მხარეთა მისამართები და ხელმოწერები

შემსრულებელი:
შპს „მარაზდა - კარწახის რკინიგზა“,
დ. აღმაშენებლის 150,
ს/კ 204522436

დამკვეთი:
სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას ქ. 77, ს/კ 211349192



ა. ფრანგიშვილი